საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო “-ს შორის

ბათუმი

18 მარტი, 2022 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში „უმაღლესი საბჭო") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ***დავით გაბაიძის*** სახით და სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია" (შემდგომში „ასოციაცია"), წარმოდგენილი თავმჯდომარის ***ირაკლი ყანდაშვილის*** სახით ერთობლივი ინიციატივებისა და ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ვთანხმდებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე.

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი/ამოცანები

მემორანდუმის ამოცანებია:

2.1. მედიაციის პოპულარიზაციის მიზნით, ერთობლივი ღონისძიებების, მრგვალი მაგიდის, კონფერენციებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;

2.2. მედიაციის პოპულარიზაციის მიზნით, როგორც ერთობლივი პუბლიკაციების შემუშავება და გამოცემა ასევე მედიაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა პუბლიკაციების თარგმნა.

2.3. აჭარის რეგიონში, საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, ერთობლივი აქტივობების განხორციელება.

2.4. მედიაციის პოპულარიზაციის მიზნით, ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;

2.5. აჭარის რეგიონში მედიაციის როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის დანერგვა და პოპულარიზაცია.

2.6. სხვადასხვა ერთობლივი პროექტების განხორციელება.

2.7. მედიაციის პოპულარიზაციის და განვითარების მიზნით, შესაძლებლობის ფარგლებში სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან ერთად სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოში არსებულ კომიტეტებთან ურთიერთობას სხვადასხვა მიმართულებით.

2.8. სხვადასახვა აქტივობის განხორციელება მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

3. მხარეთა უფლებამოსილებანი

3.1. მხარეებს უფლება აქვთ ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გამოიყენონ მეორე მხარის კუთვნილი რესურსები კონკრეტული ღონისძიებისა თუ პროექტის მიზნებისთვის;

3.2. მხარეები უფლებამოსილი არიან, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გამოიყენონ მეორე მხარის სარგებლობაში არსებული მემორანდუმის საგანთან დაკავშირებული კუთვნილი სასწავლო სამეცნიერო ბეჭდური ან/და ელექტრონული გამოცემების ეგზემპლარები.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა და შეწყვეტა

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით;

4.2. მიზეზის დასახელების გარეშე წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

4.3. კონკრეტული მიზეზის მითითებით მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისათვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

4.4. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეები (მათი შესაძლებლობების ფარგლებში) ვალდებული არიან განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში დაწყებული ერთობლივი პროექტების დასასრულებლად.

5. კომუნიკაციის ფორმა. მემორანდუმის ეგზემპლარები

5.1 მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით (ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

5.2 მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მის: ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა № 37	სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია" ს/კ: 205 391 609 მის: ნუცუბიძის ქ. 14 ბ, თბილისი
თავმჯდომარე	თავმჯდომარე